დანართი:

პროექტი

საქართველოს კანონი
სოციალური მეწარმეობისა და მისი მხარდაჭერის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობასთან, სოციალურ საწარმოთა ფუნქციონირებასთან, საქმიანობის მონიტორინგთან, სტატუსის მოპოვებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
2. სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა

მუხლი 3. სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობა არის ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობა სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში, რომლის მიზანი არ არის უპირატესად მოგების მიღება და პარტნიორთა, მეპაიეთა ან აქციონერთა შორის განაწილება.

მუხლი 4. სოციალური საწარმო

სოციალური საწარმო არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი რომელიც:

ა) შექმნილია სოციალური მიზნების მისაღწევად სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში;

ბ) ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და მისი შემოსავლების დიდ ნაწილს შეადგენს სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები;

გ) მოგების არანაკლებ 70%-ის რეინვესტირებას ახორციელებს წესდებით გათვალისწინებული სოციალური მიზნების მიზნების მიღწევისათვის წარმოებულ საქმიანობაში;

დ) იმართება დემოკრატიულ პრინციპების დაცვით და წესდებისა და საწესდებო მიზნების ცვლილება დასაშვებია ხმათა არანაკლებ 80%-ის უმრავლესობით;
ე) პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის დაკავშირებული ან დაქვემდებარებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსადმი.

მუხლი 5. სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:
ა) ნებაყოფლობითობა;
ბ) დემოკრატიული მართვა;
გ) სოციალური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ურთიერთდახმარება;
დ) თანასწორობა, გამჭვირვალობა და მდგრადობა.

მუხლი 6. სოციალური საწარმოს სტატუსი

1. საქართველოში რეგისტრირებული სამეწარმეო იურიდიული პირები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი) მოიპოვებენ სოციალური საწარმოს სტატუსს თუკი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:
ა) საწარმოს წესდებაში გაცხადებული აქვს სოციალური მიზნების უპირატესობა მოგების მიღებისა და განაწილების მიზანზე და ამომწურავად აქვს ჩამოთვლილი საქმიანობათა ჩამონათვალი სოციალური მეწარმეობის სფეროდან;
ბ) განაწილებას ექვემდებარება საწარმოს მოგების არაუმეტეს 30 %;
გ) საწარმოში გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის დამოკიდებული წილისა თუ აქციების ოდენობაზე, ამასთან წესდებით განსაზღვრულია, რომ ამ პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილება მიიღება არანაკლებ ხმების 80%-ის უმრავლესობით.
2. სოციალური საწარმოს სტატუსი ექვემდებარება რეგისტრაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.
3. თუ სოციალური საწარმო სტატუსის რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში შეიცვლის სოციალური საწარმოს სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმებიდან ერთს მაინც, საჯარო რეესტრი საკუთარი ინიციატივით, დაინტერესებული პირის ან საგადასახადო ორგანოს განცხადებით აუქმებს სოციალური სწარმოს სტატუსს.
4. სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციიდან 5 წლის გასვლამდე სტატუსის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საწარმოს (და მის პარტნიორებს, მეპაიეებს და აქციონერებს სოლიდარულად - თუკი საწარმოს აქტივები არ იქნება საკმარისი) კრედიტორის მოთხოვნისას წარმოეშობა ვალდებულება დააბრუნოს ის (ფულადი სახსრები და/ან ქონება), რომელიც სოციალური საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული შეღავათის გამო მიიღო საწარმომ, პარტნიორმა, მეპაიემ ან აქციონერმა.

5. თუ სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში პარტნიორები, აქციონერები ან მეპაიეები მიიღებენ გადაწყვეტილებას სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის გაუქმების, საწარმოს ლიკვიდაციის, გაკოტრების, რეორგანიზაციის, გაყოფის ან მიერთების თაობაზე, ეს პროცედურები ვერ დასრულდება თუკი საწარმო ან მისი პარტნიორები კრედიტორთა მოთხოვნის არსებობისას არ დააბრუნებენ იმ სიკეთეს (ფულად სახსრებს და/ან ქონებას), რომელიც შეღავათის გამო მიიღო საწარმომ სოციალური სტატუსის ქონის პირობებში.

6. საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულ სფეროებში ითვლებიან სოციალურ საწარმოებად.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს აქვს უფლება მოითხოვოს სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ამ მუხლით საწარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები და შეზღუდვები.

8. სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არის სოციალური საწარმო.

მუხლი 7. სოციალური საწარმოს წესდება

1. სოციალური საწარმოს წესდებასთან დაკავშირებით გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები ამ კანონით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

2. სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციისთვის წარდგენილი სოციალური საწარმოს წესდება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

ა) სოციალური მიზნების უპირატესობა მოგების მიღებისა და განაწილების მიზანზე;

ბ) საქმიანობის მიმართულებებსა და კონკრეტულ ჩამონათვალს ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული სოციალური მეწარმეობის სფეროდან;

გ) მოგების განაწილების წესი და ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს;

დ) ამ პუნქტის "ა"-"გ" პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე, აგრეთვე საწარმოს ლიკვიდაციის, გაკოტრების, რეორგანიზაციის, გაყოფის ან მიერთების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება საწარმოს პარტნიორთა, აქციონერთა ან მეპაიეთა მიერ ხმათა არანაკლებ 80%-ის უმრავლესობით.

მუხლი 8. სოციალური მეწარეობის სახელმწიფო ხელშეწყობა

სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი ღონისძიებებია:

ა) სოციალური მეწარმეობის განვითარების პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და მონაწილეობა;

ბ) სოციალური საწარმოების მიერ შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
გ) სოციალური საწარმოებისათვის საგადასახადო ადმინისტრირების განსხვავებული წესებისა და ლიმიტების დადგენა;
დ) თანაბარ პირობებში სოციალური საწარმოებისთვის, მათ მიერ წარმოებული პროდუქტისა თუ მომსახურებისთვის პრიორიტეტის მინიჭება;

მუხლი 9. გარდამავალი დებულებანი
1. ამ კანონის ამოქმედებამდე დაფუძნებულ საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს სოციალურ მეწარმეობას და აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უფლება აქვს მოითხოვოს სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაცია.
2. ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის სტრატეგია;

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი
1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი